

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა  
ფედერაცია“ (ბაფი)

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

და

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა

2016 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი		
№	შინაარსი	გვ.
1	აუდიტორული დასკვნა	3
2	ბალანსი	5
3	მოგება-ზარალის ანგარიშგება	6
4	ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	7
5	საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
6	წლიური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებები	8
7	ბალანსის ახსნა-განმარტებები	10
8	სრული შემოსავლის ანგარიშგების დანართები	14
9	ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების დანართები	16
10	ბაფის 2016 წლის საქმიანობის ანგარიში	20

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

### საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის აღმასრულებელ დირექტორს

#### მოსაზრება

ჩავატარეთ საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს საქართველოს ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე საწარმოთა ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული სტანდარტების შესაბამისად.

#### მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის \_ `აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე` \_ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ საქართველოს ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

#### ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე საწარმოთა ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

## აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

აუდიტორი,

აუდიტორული კომპანია „ინტელექტ-აუდიტის“

დირექტორი

ივ. გაჩეჩილაძე

თბილისი

2017 წლის 15 მაისი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ (ზაფი) ბალანსი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

აქტივები		31.12.2016		31.12.2015	
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>					
ძირითადი საშუალებები, ნეტო	1)	82,921		93,963	
არამატერიალური აქტივი	2)	6,572		7,586	
ინვესტიციები სხვა საწარმოებში		306,400		306,400	
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>		<b>395,893</b>		<b>407,949</b>	
<b>მიმდინარე აქტივები</b>					
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	3)	72,197		104,115	
მოთხოვნები და წინასწარი გადახდები	4)	330,913		208,241	
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	5)	646,997		746,214	
<b>სულ მიმდინარე აქტივები:</b>		<b>1,050,107</b>		<b>1,058,570</b>	
<b>სულ აქტივები:</b>		<b>1,446,000</b>		<b>1,466,519</b>	
<b>საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>					
<b>კაპიტალი და რეზერვები</b>					
ზაფ-ის განვითარების ფონდი		1,353,473		1,254,495	
მიმდინარე წლის მოგება-ზარალი		-24,570		98,978	
<b>სულ კაპიტალი და რეზერვები</b>		<b>1,328,903</b>		<b>1,353,473</b>	
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>					
გადავად.მოგების გადასახადი		0		0	
გადავადებული შემოსავლები	6)	3,830		3,830	

სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			3,830			3,830
მოკლევადიანი ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7)	111,901			104,800	
საგადასახადო ვალდებულებები	8)	1,366			4,416	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები			113,267			109,216
<b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>			<b>1,446,000</b>			<b>1,466,519</b>

**მოგებისა და ზარალის ანგარიშგება**  
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (ლარი)

		2016 წ.	2015 წ.
ამონაგები	9)	536,122	475,064
სხვა შემოსავალი	10)	389,685	554,642
ცვლილებები მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		(31,918)	(9,258)
შესრულებული და კაპიტალიზებული სამუშაო		-	-
სასაქონლო-მატერიალური ფასეულების შეძენა		(80,964)	(78,951)
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი		(449,755)	(494,920)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები		(22,738)	(24,077)
შემენილი მომსახურების ხარჯები		(256,512)	(178,368)
საკურსო სხვაობის ხარჯები		(22,352)	(6,833)
საგადასახადო ხარჯი		(892)	(979)
სხვა საოპერაციო ხარჯი	11)	(85,246)	(137,342)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		(24,570)	98,978
ფინანსური დანახარჯები			
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		(24,570)	98,978
მოგების გადასახადი			
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		(24,570)	98,978

**ფულადი ნაკადების ანგარიშგება**  
2016 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

	2016 წელი		2015 წელი	
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან				
კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	613522		510187	12)
საწევრო შენატანები	130133		141824	
მიღებული დივიდენდი	87983		127500	
სხვა საოპერაციო შემოსავლები	49373		41354	
კურსთა შორის სხვაობა	(20178)		149339	
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(133833)		(91577)	
გადახდილი ხელფასები	(376977)		(420781)	
გადახდილი საწევრო	(12087)		(11115)	13)
ადმინისტრაციულ და სხვა არასაოპ. ხარჯებზე გადახდები	(260517)		(118728)	14)
გადახდილი გადასახადები	(163767)		(157479)	15)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		-86,348	170,524	
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან				
გრელვადიანი აქტივის რეალიზაციით მიღ. შემოსავალი	0		0	
ძირითადი საშუალებების შეძენა	(12869)		(19220)	
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(12,869)	(19,220)	
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა		-99217	151,304	
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის		746214	594910	
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის		646997	746214	



**საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება**  
2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	ბაფ-ის განვითარების ფონდი
31.12.2014 წაშთი	-	<b>1,254,495</b>
გადატანა გასული წლების რეზერვებში	-	
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	98,978.00
31.12.2015 წაშთი	-	<b>1,353,473</b>
გადატანა გასული წლების რეზერვებში		
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		(24,570.00)
31.12.2016 წაშთი	-	<b>1,328,903</b>

**წლიური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებები**

**1. ზოგადი განმარტება**

ბაფი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით წარმოადგენს არასამეწარმეო, არაკომერციულ იურიდიულ პირს (კავშირს). იგი საქმიანობას ეწევა საქართველოს ტერიტორიაზე სათაო ოფისისა (ქ. თბილისი) და 7 რეგიონალური და რაიონული ფილიალის მეშვეობით. ბაფი, როგორც პროფესიული ორგანიზაცია, ახორციელებს საქართველოს კერძო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შემუშავებას, საკანონმდებლო სფეროს ლობირებას, ფინანსური აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების თარგმნასა და გამოცემას. ეკონომიკური საქმიანობა მისი დამხმარე ფუნქციაა რომელიც, ძირითადად, უკავშირდება სპეციალისტების გადამზადებასა და პროფესიულ სერტიფიცირებას. ბაფისა და მისი ფილიალების მოცემული წაერთი ბალანსი შედგენილია მცირე საწარმოთა ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული სტანდარტების საფუძველზე, წინასწარ მომზადებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და ანგარიშთა გეგმის გამოყენებით

**1. ფინანსური ანგარიშგების შედგენისა და შეფასებისას გამოყენებული მეთოდები**

**კონსოლიდაციის პრინციპები**

წაერთი ბალანსი მოიცავს მისი ფილიალების ანგარიშგებებს. კერძოდ, მასში ჩართულია:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალი;
- იმერეთის რეგიონალური ფილიალი;

- სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონალური ფილიალი;
- კახეთის რეგიონალური ფილიალი;
- რუსთავის რაიონული ფილიალი;
- ფოთის რაიონული ფილიალი
- გორის რაიონული ფილიალი

ნაერთ ანგარიშგებაში შიდა ოპერაციებით წარმოშობილი მოთხოვნები და ვალდებულებები ელიმინირებულია

### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია შეძენის ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის თანხით. ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია ინდივიდუალურად და იგი მერყეობს 2-დან 10 წლამდე. სააღრიცხვო ჯგუფების მიხედვით ცვეთის ნორმა შეადგენს:

#	ჯგუფების დასახელება	ცვეთის ნორმა %
1	ოფისის აღჭურვილობა	20-30
2	ავეჯი და სხვა ინვენტარი	25-50
3	სარტანსპორტო საშუალებები	10-15

სხვა საწარმოში მონაწილეობა ბალანსში წარმოდგენილია ნომინალური ღირებულებით.

### სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები ბალანსში ასახულია შეძენის, დამზადების თვითღირებულებასა და ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებულ წმინდა სარეალიზაციო ღირებულებებს შორის უმცირესი გასაყიდი ფასით. მარაგების შეფასებისას გამოყენებული იყო “ფიფო” მეთოდი.

### მოთხოვნები და წინასწარი გადახდები

მოთხოვნები და წინასწარი გადახდები შეფასებულია ნომინალური ღირებულებით.

### ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები ასახულია ნომინალით. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებულია ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსით.

## ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებები ასახულია იმ თანხით, რომლის გადახდა უნდა მოხდეს ბალანსის შედგენიდან 12 თვეში. გრძელვადიანი ვალდებულებები წარმოადგენს გადავადებულ შემოსავლებს (რომელიც გრანტისა და შემოწირულობის სახით მიღებული აქტივების საბალანსო ღირებულების ტოლფასია).

## შემოსავლები

რეალიზაციიდან შემოსავლები აღიარებულია ბაფის მხრიდან რისკების გადაცემის მომენტში. შემოსავლები შემცირებულია ფასდათმობებისა და დაბრუნებული რეალიზაციის თანხებით. შემოსავლები, როგორცაა ფულადი გრანტი, შემოსავალში ასახულია მათი გამოყენების მომენტში. არაფულადი აქტივის სახით მიღებული შემოსავლები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მათი გაყიდვისა და ცვეთის დარიცხვის შესაბამისად. საწევროები დარიცხულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღის მდგომარეობით.

## ხარჯები

ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯების მუხლებად წარმოდგენილია პერიოდის შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული დანახარჯები

## ბალანსის ახსნა-განმარტებები

გრძელვადიანი აქტივები

### 1) ძირითადი საშუალებები

	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.16	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.15
	შექმენის ღირებულება				
1	ბიბლიოთეკა	4,631	156		4,475
2	ოფისის აღჭურვილობა	109,607	10,167	3,166	102,606
3	ავეჯი და ინვენტარი	89,266	419	314	89,161
4	სატრანსპორტო საშუალება	48,739	-	-	48,739
	ჯამი	252,243	10,742	3,480	244,981
	ცვეთა	ნაშთი 31.12.16	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.15
1	ბიბლიოტეკა	-			-
2	ოფისის აღჭურვილობა	78,389	10,121	3,109	71,377
3	ავეჯი და ინვენტარი	65,733	6,806	314	59,241
4	სატრანსპორტო საშუალება	25,200	4,800	-	20,400
	ჯამი	169,322	21,727	3,423	151,018
	საბალანსო ღირებულება	82,921			93,963

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით. აქტივების ტესტირება გაუფასურებაზე არ მომხდარა.

2) არამატერიალური აქტივები

	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.16	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.15
	შემენის ღირებულება				
1	საბუღ. პროგრამა „ორისი“	3,254			3,254
2	საბუღ. პროგრამა „სუპერფინი“	618			618
3	პროგრამა ICS	2,225			2,225
4	ლიცენზია შტრადოს შტუდიო	5,467			5,467
	ჯამი	11,564	-	-	11,564
	ამორტიზაცია	ნაშთი 31.12.16	დარიცხვა	ჩამოწერა	ნაშთი 31.12.15
1	საბუღ. პროგრამა „ორისი“ ამო.	2,077	168		1,909
2	საბუღ. პროგრამა „სუპერფინი“ ამორ.	713	123	-	590
3	პროგრამა ICS-ის ამორტიზაცია	1,108	176		932
4	ლიცენზია Strados Studio	1,094	547		547
	ჯამი	4,992	1,014	-	3,978
	საბალანსო ღირებულება	6,572			7,586

არამატერიალური აქტივების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

მიმდინარე აქტივები

შპს. №3

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები შედგება შემდეგი ძირითადი ჯგუფებისაგან:

დასახელება	თანხა		თანხა
	2016წ		2015წ
საქონელი, აუდიტის სტანდარტები	843		1834
ორისის პროგრამა	1724		2985
მზა პროდუქცია, წიგნები	69180		97246
სხვა ს.მ.,	450		2050
სულ სასაქონლო მატ. მარაგები:	<b>72197</b>		<b>104115</b>

საქონლის ნაშთის შემადგენლობაში გაერთიანებულია შემოწირულობის სახით მიღებული წიგნები და საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამა “ორისი”. მზა პროდუქციის

ნაშთში - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები, ხარისხის კონტროლისა და აუდიტის სტანდარტები და ACCA სახელმძღვანელოები. სხვა ს.მ.ფ.-ში საწვავის ნაშთი.

შპს. №4

**მოთხოვნები და წინასწარი გადახდები**

დებიტორულ დავალიანებას გააჩნია შემდეგი სტრუქტურა:

დასახელება	2016 წ	2015 წ
მოთხოვნები მიწოდებან და მომსახ.	38304	34412
მოთხოვნები წევრებთან	348894	232965
საეჭვო მოთხოვნების (საწევრო) კორექტირება	-69013	-69546
მოთხოვნები პერსონალთან	250	2072
გაცემული სესხი	0	0
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	7983	3817
წინასწარ გაწეული ხარჯები		
წინასწარ გადახდილი გადასახადები	4495	4521

**ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

ბაფის ფულადი სახსრები განთავსებულია საქართველოს ბანკებში ეროვნული და უცხოური ვალუტის სახით, ქ. თბილისის და ფილიალების ოფისის ადგილმდებარეობის ბანკებში. მათი სტრუქტურა შემდეგია:

შპს. №5

**ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

დასახელება	2016 წ.	2015 წ.
ნაღდი ფული სალაროში	55	100
ეროვნული ვალუტა ბანკში	635993	338650
უცხოური ვალუტა ბანკში	10949	407464
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვ.	646997	746214

უცხოურ ვალუტაში კონვერტირების პრაქტიკას ბაფი იყენებს ეროვნული ვალუტის გაუფასურებიდან მოსალოდნელი ზარალის თავიდან აცილების მიზნით.

**გადავადებული შემოსავლები**

გადავადებული შემოსავლების მუხლი აერთიანებს შემდეგ სამომავლო შემოსავლებს: შპს. №6

**გადავადებული შემოსავლები**

დასახელება	2016 წ.	2015 წ.
გრანტით შეძენილი ძირ.საშუალებები	19	19
შემოწირული წიგნები	615	615
შემოწირული ძ.საშ.	229	229
ACCA წიგნები (გრანტით გამოც)	0	0
გრანტით გამოც სხვა წიგნები	2967	2967
სულ გადავადებული შემოსავლები	3830	3830

გრანტით შეძენილი და შემოწირული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება მომავალში შემოსავალში აიღება ცვეთის დარიცხული თანხის შესაბამისად, ხოლო შემოწირული და გრანტის სახსრებით გამოცემული წიგნები – რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების შესაბამისად.

**სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სტრუქტურა შემდეგია: შპს. №7

**სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

დასახელება	2016 წ	2015 წ
მოწ.და მომსახ.წარმოშობილი ვალდებულებები	11267	15553
მიღებული ავანსები	98904	88074
გადასახდელი ხელფასები	0	0
ვალდებულებები პერსონალის წინაშე	0	0
სხვა ვალდებულებები	1730	1173
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	111901	104800

**საგადასახადო ვალდებულებები**

საგადასახადო ვალდებულებების მუხლში ჩართულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის დარიცხული საბიუჯეტო გადასახადები, რომელთა გადახდის ვადა ბალანსის შედგენის თარიღისათვის ამოწურული არ არის. მათი სტრუქტურა შემდეგ სურათს იძლევა:

შპს. №8

**საგადასახადო ვალდებულებები**

დასახელება	2016 წ	2015 წ
გადასახდელი მოგების გადასახადი	0	0
გადასახდელი ქონების გადასახადი	0	0
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	0	134
გადასახდელი დღგ	1366	4283
გადასახდელი სოციალური გადასახადი		
სულ საგადასახადო ვალდებულებები	1366	4417

**4. სრული შემოსავლის ანგარიშგების დანართები**

**ამონაგები**

საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების რეალიზაციიდან ნეტო ამონაგები შემდეგნაირად იზიფრება: შპს. №9

**ამონაგები**

დასახელება	2016წ	2015წ
რეალიზაცია	105445	74955
საწავლო პროცესი	303180	284270
სხვა საოპერაციო შემოსავალი	127497	115839
სულ ამონაგები:	536122	475064

რეალიზაცია მოიცავს, როგორც საქონლის ისე საკუთარი წარმოების პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგებს. სასწავლო პროცესის შემოსავლებში გაერთიანებულია ბაფის საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული ყველა ტიპის ტრენინგებიდან და გამოცდებიდან მიღებული ამონაგები.

**სხვა საწარმოო შემოსავლები**

სხვა შემოსავლების შემადგენლობაში გაერთიანებულია შემოსავლები, რომელიც სხვადასხვა წყაროებიდანაა შემოსული. მათი შემადგენლობა შემდეგია:



**სხვა საოპერაციო შემოსავლები**

დასახელება	2016წ	2015წ
საწევრო კორპ.წევრების	131080	109692
საწევრო ნამდვილი და ასოცირებული წევრ,	108184	101550
გაწევრიანება	3740	3345
დივიდენდი	87983	134211
საპროცენტო შემოსავალი	55984	38849
შემოწ.და გრანტებით შეძენილი წიგნების რეალიზაციიდან	0	156
შემოწ.და გრანტებით შეძენილი ზ.ს.ცვეთა	0	0
არასასარჩელო შემოსავალი	1400	13762
შემოწირულობა	0	0
კურსთა შორის სხვაობა	1314	153077
სხვა შემოსავალი		0
სულ სხვა საწარმოო შემოსავლები:	389685	554642

საწევრო შენატანები გულისხმობს დარიცხულ საწევროს.

**სხვა საოპერაციო ხარჯი**

სხვა საოპერაციო ხარჯები მოიცავს წევრებთან დაკავშირებულ ხარჯებსა და არასაოპერაციო ხარჯებს

**სხვა საოპერაციო ხარჯი**

დასახელება	2016წ	2015წ
გადახდილი საწევროები (აიფაკის)	11983	11115
ჩამოწერილი საწევროები	307	100205
ჩამოწერილი ძ.ს.	57	237
ქველმოქმედება და დახმარება	1358	1715
უიმედო ვალი	1920	10296
არასაოპერაციო ხარჯი	1220	788
წარმომადგენლობითი ხარჯი	2272	2001
გადახდილი არარეზ.იურ.პირის საშემოსავლო	4348	50
მიღებ.დივიდენდის საშემოსავლო 5%	4399	6711
წევრთა ყრილობის ხარჯები	57382	4224
სულ სხვა საწარმოო ხარჯი:	85246	137342

შემოსავლებიდან გადასახადები



საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადს ბაფი იხდის 15 პროცენტის ოდენობით. წლიური შედეგებიდან გამომდინარე ზარალმა დაბეგვრამდე შეადგინა (24570) ლარი, საგადასახადო კორექტირებამ (242685) ლარი, ხოლო საგადასახადო ზარალმა (267255) ლარი.

საგადასახადო კორექტირება გაუკეთდა შემოსავლებს, რომლებიც მოგების გადასახადით დაბეგვრას არ ექვემდებარება: საწევრო 243004 ლარი; დივიდენდი 87983 ლარი; ბანკის პროცენტი 55984 ლარი; უსასყიდლოდ გაცემა (820) ლარი (სულ 386151 ლარი).

კორექტირება შეეხო აგრეთვე ხარჯებს, რომლებიც გამოქვითვას არ ექვემდებარებოდა საგადასახადო მიზნებისათვის: მიღებული დივიდენდის დაკავებული საშემოსავლო 4398 ლარი; ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციაში გადახდილი საწევრო 11983 ლარი; წევრობიდან გასული ჩამოწერილი 307 ლარი; საწერო დავალიანება ბაფ-ის წევრებთან დაკავშირებული დაქირავებით მომუშავეთა ხელფასი 28300 ლარი; ხარისხის კონტროლთან დაკავშირებული ხარჯები 1600 ლარი; წევრთა ყრილობის ხარჯი 57382 ლარი, გამგეობის წევრების მივლინების ხარჯები 4523 ლარი, არაეკონომიურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯი 11095 ლარი, დახმარება და ქველმოქმედება 973 ლარი; ჩამოწერილი გრძელვადიანი აქტივები 57 ლარი; მიკრომეწარმისაგან შეძენილი სასწავლო ლიტერატურა 1452 ლარი; წარმომადგენლობითი ხარჯი 2272 ლარი, ჩაუთვლელი დღგ 5250 ლარი; არარეზიდენტის საშემოსავლო 4348 ლარი; უიმედო ვალი 1920 ლარი; აგრეთვე ძირითადი საშუალებების სააღრიცხვო და საგადასახადო ცვეთის განსხვავებული ხარჯები 11238 ლარი; 1000 ლარზე ნაკლები ღირებულების შეძენილი გრძელვადიანი აქტივი (5932) ლარი; ვებ გვერდზე გამოქვეყნებული ხარისხის კონტროლის თარგმნილი მასალების ხარჯი 2300 ლარი; (სულ 143466 ლარი).

## 1. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების დანართები

შენ.№ 12

კლიენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები

დასახელება	2016 წ	2015 წ
ლიტერატურის რეალიზაცია	99614	42840
სწავლებაზე და სერთიფიც.მიღ.თანხები	124403	79184
ACCA გამოცდა	260247	216535
დებიტორული დავალიანების დაფარვა	11070	22021
ორისის ინსტალაცია	112167	39315
მიღებული ავანსები	6021	110292
სულ კლიენტებიდან მიღებული თანხები:	613522	510187

შენ.№ 13

**გადახდილი საწევრო**

დასახელება	2016წ	2015წ
აიფაკში გადახდილი საწევრო	12087	11115

ეს არის საერთაშორისო ორგანიზაციებში /ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია/  
გადახდილი საწევრო გადასახადი

შენ.№ 14

**ადმინისტრაციულ და სხვა არასაოპერაციო ხარჯებზე გადახდილი თანხები:**

დასახელება	2016წ	2015წ
საიჯარო ქირა	98487	85676
კომუნალური	11170	9103
საიტზე გამოქვეყნებული ლიტ-თარგმნა	11600	0
"კოდექსი"	680	946
როიალტი	10165	565
მივლინება	5090	3137
რეკლამა	4152	3944
ქსეროასლის გადაღება	132	621
კომპიუტერის ხარჯები	1250	502
საგადასახადო და სხვა ლიტერატურა	696	670
ბანკის მომსახურება	1394	1190
ქველმოქმედება	1368	1715
ყრილობის და კონფერენციის	57173	5384
მანქ.მომსახ.ხარჯი	4751	2044
აუდიტორული მომსახურება	3956	2500
აუდიტის სემინარი	45326	0
თანამშრომელთა კვალიფ.ამაღლება	560	701
რემონტის სამუშაოების ანაზღაურება	2055	0
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	512	30
სულ:	260517	118728

**გადახდილი გადასახადები**

დასახელება	2016 წ.	2015 წ.
მოგების გადასახადი	3712	17
ქონების გადასახადი	980	1000
გადასახდელი დღგ	57205	49016
საშემოსავლო გადასახადი	101870	107446
სულ გადასახადები:	163767	157479

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საფირმო სახელწოდება	საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი (კავშირი)
იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, წერეთლის ქ. № 61
დარგი (საქმიანობის სახე)	მომსახურება
ზომის ერთეული	ლარი
აღმასრულებელი დირექტორი:	ლავრენტი ჭუმბურიძე
მთავარი ბუღალტერი:	ქეთევან აბესალაშვილი

## საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფი)

### 2016 წლის საქმიანობის ანგარიში

#### მოკლე ორგანიზაციული მიმოხილვა

ბაფი არის წევრობაზე დაფუძნებული პროფესიული (არაკომერციული, არასამეწარმეო) ორგანიზაცია, რომელიც საქმიანობას ახორციელებს სათავო ოფისის (თბილისი), რეგიონალური და რაიონული განყოფილებების (ფილიალების) მეშვეობით. მართვის უმაღლესი ორგანოა წევრთა საერთო კრება, პოლიტიკასა და სტრატეგიულ სამოქმედო გეგმას განსაზღვრავს ბაფის გამგეობა, რომლის მართვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია აღმასრულებელი დირექცია. 2016 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით ბაფის წევრია: 6,770 ფიზიკური პირი ბუღალტერი და აუდიტორი (მათ შორის 421 ნამდვილი წევრი, ხოლო 6,350 ასოცირებული წევრი); 98 აუდიტორული კომპანია (კორპორაციული წევრები). ბაფი ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წევრია 2000 წლიდან.

ბაფის წესდებით განსაზღვრული მისია არის- ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა, საინვესტიციო ბიზნესგარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობის გზით, რომელიც გულისხმობს:

- საქართველოს კერძო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას;
- აუდიტორებისა და ბიზნესში დასაქმებული ბუღალტრების მაღალკვალიფიციური დონის მიღწევას, საზოგადოებისათვის ხარისხიანი მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით;

**მისიიდან გამომდინარე, ბაფის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:**

ა.

ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში საერთაშორისო პრაქტიკის დასამკვიდრებლად, რეფორმებში აქტიური მონაწილეობა და პროფესიის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის ლობირება. პროფესიული სერტიფიცირების საერთაშორისოდ აღიარებული ლიტერატურის, ფინანსური აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების თარგმნა და გამოცემა;

ბ. ორგანიზაციის წევრების საკონსულტაციო მომსახურება, პროფესიული სერტიფიცირება, კვალიფიკაციისა და მომსახურების ხარისხის ამაღლება და მათი ინტერესების დაცვა;

გ. პროფესიასთან დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობა, ფინანსური დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის.

ბაფი და არსების დღიდან აქტიურად თანამშრომლობს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროსთან დაკავშირებულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საქართველოს სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებთან,

აკადემიურსექტორთან დაგაფორმებულაქვსშესაბამისიმემორანდუმები.  
ბაფისძირითადიპარტნიორებია:

- ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია (IFAC)
- სერტიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაცია (ჩჩ )

BPP Learning Media – საგამომცემლო დაწესებულება

- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო
- აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო
- მსოფლიო ბანკის "ფინანსური ანგარიშგების რეფორმის ცენტრი"
- სახელმწიფო აუდიტის სამსახური
- სსიპ - საქარო აუდიტის ინსტიტუტი
- შემოსავლების სამსახური
- ივანეჯავახი შვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი
- შავიზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი და სხვ.

ბაფი საქმიანობას ახორციელებს გამგეობის, აღმასრულებელი დირექტორისა და შესაბამისი კომიტეტების მიერ შემუშავებული და დამტკიცებული შიდაპოლიტიკის, სისტემებისა და მენეჯერული პროცედურების საფუძველზე, რომლებიც უზრუნველყოფს:

- ა) პროფესიული სერტიფიცირებისა და განგრძობითი განათლების მიმართ მოთხოვნების დაკმაყოფილებას;
- ბ) პროფესიული ორგანიზაციების წევრების მიერ პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (IESBA Code) და ხარისხის კონტროლის სისტემის მიმართ მოთხოვნების შესრულებას;
- გ) სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ეფექტურ მართვას.

**საანგარიშო პერიოდამდე (1996-2015 წლები) საქმიანობის შედეგების რეზიუმე**

*ბაფის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით:*

- ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების აღიარებული ქნასაქართველო სეროვნულ სტანდარტებად;
- მიღებული ქნასაქართველოს კანონები:  
ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ (1999)  
და ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ (2012);
- დამკვიდრდა პროფესიული თვითრეგულირების პრინციპები;
- დაფუძნდა პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი და ყოველთვიურისამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი ბუღალტრებისათვის;

- ჩამოყალიბდასპეციალისტთაგადამზადების, პროფესიულსერტიფიცირებისადაგანგრძობითისწავლებისსისტემა;
- განხორციელდაპროფესიულსერტიფიცირებისსაერთაშორისოდაღიარებულიპროგრამის (ACCA) ქართულენაზეადაპტირება, პოპულარიზაციადაღიარება ACCA–ისმიერ.2003 წლიდან დღემდარისსაქართველოში ACCA-ისპროგრამების წარმმართველი;
- შეიქმნამომსახურებისხარისხისკონტროლისსისტემისშემოწმებისნორმატიულიბაზადაგანხორციელდამისიპრაქტიკაშიდანერგვა;
- ითარგმნებადაგამოიცემაფინანსურიანგარიშგებისა დააუდიტისსაერთაშორისოსტანდარტები. მზადდებადაგამოიცემამათიპრაქტიკაშიგამოყენებისათვისსაჭიროლიტერატურა;
- დაარსების დღიდან ბაფი ახორციელებს პროფესიის მარეგულირებელისაკანონმდებლო ნორმატიული ბაზის ლობირებას;
- ჩატარდა 12 საერთაშორისო კონფერენცია პროფესიის რეგულირების, პროფესიულსერტიფიცირების, მომსახურების ხარისხის კონტროლის თემებზე.

## საანგარიშო (2016 წელი) პერიოდის საქმიანობა

### 1. წევრთა საერთო კრება

2016 წლის 21 მაისს “ქორთიარდ მარიოტში” გაიმართა ბაფის საერთო (21-ე) კრება.კრებას 211 მოწვეული დელეგატიდან ესწრებოდა 157 (კვორუმი 106 დელეგატი).

ბაფის გამგეობის საქმიანობის შესახებ ანგარიში წარმოადგინა გამგეობის თავმჯდომარემ, ბატონმა **ზურაბ ლალაზაშვილმა**. საერთო კრებამ კენჭისყრით შეაფასა საანგარიშგებო პერიოდში ბაფის გამგეობის საქმიანობა. კენჭისყრის შედეგები: დადებითი შეფასება - 157 დელეგატი, წინააღმდეგი - 0; თავი შეიკავა - 0.

ბაფის საქმიანობის შემოწმების შედეგებზე საერთო კრებას ანგარიში წარუდგინა სარევიზიო კომისიამ, რომელმაც დადებითი შეფასება მისცა ბაფის 2016 წლის 20 მაისამდე პერიოდის საქმიანობას.

საერთო კრებას ბაფის 2015 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგები გააცნო მოწვეულმა აუდიტორმა. წარმოდგენილი ანგარიშგების გაცნობის შემდეგ, საერთო კრებამ კენჭი უყარა და დადებითად შეაფასა საანგარიშგებო პერიოდის ბაფის საქმიანობა: დადებითი შეფასება - 156 დელეგატი, წინააღმდეგი -0; თავი შეიკავა - 1.

საქმიანობის შესახებ ანგარიშგების მოსმენისა და დამტკიცების შემდეგ, ბაფის 20 - წლიან საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ:

1. **ბაბაღე ალავერდაშვილი** - ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების ქართულ ენაზე ითარგმნისა და მათი პრაქტიკაში დამკვიდრების სფეროში შეტანილი წვლილისათვის;



2. მარინა რევაზიშვილი - ბრიტანეთის ნაფიც სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) ადაპტირებული ქართულენოვანი პროგრამის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისათვის;
3. მარიამ წიკლაშვილი - საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით კადრების გადამზადების სფეროში შეტანილი წვლილისათვის;
4. მარინა მჭედლიშვილი - საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით კადრების გადამზადების სფეროში შეტანილი წვლილისათვის;
5. ეკატერინე წამალაშვილი - საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით კადრების გადამზადების სფეროში შეტანილი წვლილისათვის.

## 2. გამგეობის საქმიანობის მიმოხილვა

გამგეობის მიერ გაწეული საქმიანობა, პირობითად, შეიძლება ორ ნაწილად დავყოთ:

### 1. ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციასთან შეთანხმებული 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება

წევრებისადმი ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მოთხოვნების შესაბამისად, ბაფი 2 წელიწადში ერთხელ ადგენს სამოქმედო (ორწლიან) გეგმას, რომელიც 7 ნაწილადაა დაყოფილი და მოიცავს ბაფის საქმიანობის ყველა მიმართულებას. სამოქმედო გეგმის მიხედვით განსაზღვრული ძირითადი პროექტების შესრულება ბაფის კომიტეტების ფუნქციებში შედის და საანგარიშგებო პერიოდში მათ საქმიანობას ქვემოთ მიმოვიხილავთ. სამოქმედო გეგმის შესრულებაზე ზედამხედველობას და პერიოდულ შეფასებასახორციელებს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია, რომელმაც ბაფის 2016 წლის საქმიანობა დადებითად შეაფასა ერთი გამონაკლისით - დისციპლინარული მოკვლევის სფეროში იყო გარკვეული შენიშვნები. გამგეობის მიერ მოხდა შენიშვნების გათვალისწინება და შესაბამის კომიტეტს დაევალა განახლებული წესებით მოქმედება.

### 2. ბაფის მისიიდან გამომდინარე, ქვეყანაში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობა

*„ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის შესახებ ასოციაციის ხელშეკრულებით“* გათვალისწინებული აღრიცხვისა და აუდიტის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის ევროდირექტივების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა საჭიროებს პროფესიული ორგანიზაციების, სახელმწიფო სტრუქტურებისა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ერთობლივ ძალისხმევას. ამ მიმართულებით, საანგარიშგებო წლის პირველ ნახევარში, აღსანიშნავია:

ა. „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში აუდიტისა და ანგარიშგების გაუმჯობესების პროგრამის“(STAREP)ფარგლებში მსოფლიო ბანკში შექმნილ ჯგუფთან(CFRR)გამგეობის თანამშრომლობა. პროგრამა პარტნიორ ქვეყნებში (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო,

მოლდოვა და უკრაინა) ფინანსური ანგარიშგების რეფორმის მხარდაჭერას, საკანონმდებლო მარეგულირებელი ბაზის გაუმჯობესებას და ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროებში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობას ითვალისწინებს. პროექტში, საანგარიშო წლის პირველ ნახევარში აქტიურად იყო ჩართული ჩვენი ორგანიზაცია და მონაწილეობა მივიღეთ სხვადასხვა კონფერენციაში (იხ. ქვემოთ), სადაც შესაძლებლობა გვქონდა გავცნობოდით პროფესიის რეგულირების სფეროში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

ბ. ფინანსთა სამინისტროს უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფთან თანამშრომლობა „ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის პროექტის მომზადების პროცესში.

2016 წლის აგვისტოდან ბაფის გამგეობა აქტიურად თანამშრომლობს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურთან. აღნიშნული სამსახურის საბჭოს შემადგენლობაში მოღვაწეობს ბაფის მიერ წარდგენილი 2 პირი: ბატონი რუსლან ხოროშვილი და ბატონი ივანე ჯელია (სათათბირო ხმის უფლებით).

საანგარიშო პერიოდში, საოქმო ჩანაწერების მიხედვით, ჩატარებულია გამგეობის 7 სხდომა (წესდება ითვალისწინებს მინიმუმ ოთხი სხდომის ჩატარებას წელიწადში). გამგეობის სხდომებზე მიღებული დადგენილებების ძირითადი ნაწილი შესრულებულია, ხოლო ზოგიერთი ზოგიერთი საკითხის შესრულება გადატანილია მომავალი წლისათვის.

### 3. კომიტეტების საქმიანობის მიმოხილვა

#### განათლებისა და სერტიფიცირების კომიტეტი.

ბუღალტერთა გადამზადება, პროფესიული სერტიფიცირება და უწყვეტი განგრძობითი განათლების ხელშეწყობა ბაფის საქმიანობის ძირითადი საქმიანობაა. ამ მიმართულებით ბაფი ხელს უწყობს პროფესიის განვითარებას ქვეყნისათვის მაღალკვალიფიციური პროფესიონალების მომზადებით, რომლებიც აკმაყოფილებენ პროფესიონალისათვის დამახასიათებელ საერთაშორისო კრიტერიუმებსა და ეთიკის ნორმებს.

2016 წელს ბაფში **დარეგისტრირდა 1025** პროფესიული სერტიფიცირების პრეტენდენტი, აქედან 981 ქართულენოვან და 44 ინგლისურენოვან პროგრამაში. 2016 წლის 30 დეკემბრის მონაცემებით, სასერტიფიკაციო პროცესში წიგნების მიხედვით დარეგისტრირებულია **7526 პრეტენდენტი**. საანგარიშო პერიოდში გამოცდაზე გამოვიდა 1385 და დადებითი შედეგი მიიღო 1157, ხოლო უარყოფითი 228 პრეტენდენტმა. შედეგების მიხედვით:

I-ეტაპის სერტიფიკატი მიიღო 235 პრეტენდენტმა;

II-დონის სერტიფიკატი მიიღო 34 პრეტენდენტმა;

III -დონის სერტიფიკატი მიიღო და პროფესიონალი ბუღალტრის სტატუსი მიენიჭა 16 პრეტენდენტს, რომლებიც შეემატნენ ბაფის ნამდვილი წევრების რიგებს.



2016 წლის ბოლოსათვის პროფესიული სერტიფიცირების პროგრამა სრულად დამთავრებული აქვს სულ 172 პირს, აქედან 129 პირმა დაამთავრა ACCA -ის ქართულენოვანი პროგრამა, ხოლო ACCA -ის ინგლისური პროგრამა -43-მა.

„პროფესიონალ ბუღალტრად“ განათლების კომიტეტის მიერ სულ აღიარებულია სხვა ქვეყნის პროფესიული ორგანიზაციის წევრი 27 „პროფესიონალი ბუღალტერი“, აქედან 10 საანგარიშგებო პერიოდში.

ბაფსა და ACCA-ს შორის თანამშრომლობის განახლებული მემორანდუმით, ACCA -იმ ბაფის ქართულენოვან პროგრამას აკრედიტაცია გაუგრძელა 2018 წლის ჩათვლით და ჩათვლის პირობები უფრო დაიხვეწა.

2016 წელს ACCA -ისა და ბაფს შორის განხორციელდა პროექტი, რომელიც გულისხმობდა ბაფის I, II და III ეტაპის სერტიფიკატების მქონე სტუდენტების ACCA-ში ჩარიცხვას, წიგნებში ჩათვლების გაცემას, ქართულ პროგრამაში ჩაბარებული წიგნების შესაბამისად და 2016 წლის წლიური გადასახადიდან განთავისუფლებას. ეს ყოველივე სტუდენტისათვის უფასოდ იყო შეთავაზებული. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ACCA-ში ჩარიცხა - 62 სტუდენტი, რომლებმაც მიიღეს მინიმუმ - 3, ხოლო მაქსიმუმ - 9 წიგნის ჩათვლა.

ტრადიციულად, საანგარიშო პერიოდში ბაფი აგრეთვე ახორციელებდა მთავარი ბუღალტრის სერტიფიცირების პროგრამას. ამ პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 98 პრეტენდენტმა. გამოცდები წარმატებით ჩააბარა და მთავარი ბუღალტრის კვალიფიკაცია მიენიჭა 71 პრეტენდენტს.

უწყვეტი განგრძობითი განათლების სემინარებში მონაწილეობდა 324 ნამდვილი წევრი, ხოლო ჩათვლა მიეცა 95 წევრს.

## სტანდარტებისა და პრაქტიკის კომიტეტი

ბაფის საქმიანობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და მათი გამოყენების სახელმძღვანელო ლიტერატურის თარგმნა. სამუშაოს სირთულისა და მოცულობის გამო, ეს პროცესი მოითხოვს ბაფის ინტელექტუალური და ფინანსური რესურსების მაქსიმალურ მობილიზებას. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ 2016 წელს დასრულდა:

- ა. პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის სახელმძღვანელოს თარგმნა და გამოცემა (2015 წლის რედაქციით);
- ბ. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების თარგმნა (2015 წლის რედაქციით);
- გ. ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის განათლების სტანდარტები (2016 წლის რედაქციით).

კომიტეტი ჩართული იყო ბაფის განგრძობითი სწავლების 2016 წლის თემატიკით გათვალისწინებული სემინარების პროგრამის მომზადებისა და ლექციების ჩატარების პროცესში.

## საწევრო კომიტეტი

საწევრო კომიტეტი განიხილავს წევრობის კანდიდატების წარმოდგენილ დოკუმენტებს, იღებს გადაწყვეტილებებს მათ წევრად მიღებაზე, ატარებს ადმინისტრაციულ ღონისძიებებს წევრობის შეჩერებასა და გარიცხვაზე. კურირებს საწევრო გადასახადების დაფარვის პროცესს.

მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშგებო პერიოდში, წინა წლებთან შედარებით, გაუმჯობესებულია საწევრო გადასახადების აკრეფა, ამ კუთხით ვითარება მაინც არასახარბიელოა და ასოცირებულ წევრთა გარიცხვა, ძირითადად, გვიხდება საწევრო გადასახადის გადაუხდელობის გამო.

ფიზიკური პირი წევრების სტატისტიკა 2016 წელს:

გარიცხა - 864 წევრი, მათ შორის 857 ასოცირებულია და 7 ნამდვილი წევრი; მიღებულ იქნა - 730 ასოცირებული წევრი; ნამდვილი წევრი გახდა 16 პროფესიონალი ბუღალტერი.

2016 წლის დეკემბრის მდგომარეობით ბაფის წევრი იყო:

**6771 ფიზიკური პირი**, აქედან ნამდვილი წევრი - 421 (387 პროფესიონალი, 34 სერტიფიცირებული მთავარი ბუღალტერი) და ასოცირებული - 6350;

კორპორაციული წევრების სტატისტიკა:

გარიცხა - 0; მიღებული იქნა 20 აუდიტორი კომპანია და 5 ინდივიდუალური აუდიტორი;

2016 წლის 30 დეკემბრისათვის ბაფის კორპორაციული წევრი იყო 98 აუდიტორი კომპანია და 33 ინდივიდუალური აუდიტორი.

## აუდიტორულისაქმიანობის რეგულირების კომიტეტი

კომიტეტმა 2016 წლამდე პერიოდში, საბოლოო სახემდე მიიყვანა ხარისხის კონტროლის სისტემის შემოწმებისათვის აუცილებელი დოკუმენტები: ხარისხის კონტროლის სისტემის შემოწმების სერტიფიცირების დებულება და ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის დებულება; მოახდინა ხარისხის კონტროლის სისტემის შემოწმების სერტიფიცირება და 2015 წლიდან ახდენდა კორპორაციული წევრების ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს. სამოქმედო გეგმით, აუდიტის რეგულირების კომიტეტის მთავარი მიზანი საანგარიშგებო წელს იყო ბაფის წევრ აუდიტორულ კომპანიებში ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის ჩატარება. ვინაიდან საანგარიშგებო წელს მომზადებული და მთავრობის მიერ პარლამენტში ინიცირებული (შემდეგ მიღებული) იყო ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ საქართველოს კანონი, რომლის მიხედვითაც ხარისხის კონტროლის სისტემის შემოწმების ფუნქცია გათვალისწინებულია სახელმწიფო საზედამხედველო ორგანოს მიერ, პროცესი შეფერხდა. კომიტეტი,

ძირითადად, გადაერთო კორპორაციული წევრებისათვის ხარისხის კონტროლის სისტემის სრულყოფისათვის კონსულტაციებისა და სემინარების ფორმით მხარდაჭერაზე. ბაფი ხარისხის კონტროლის სისტემის წინასწარ მონიტორინგგანახორციელებს მხოლოდ იმ წევრ კომპანიებში, რომლებიც ამის სურვილს გამოხატავენ.

კომიტეტის საქმიანობის ფარგლებში 2016 წელს: ა. შერჩეულ იქნა აუდიტის პროგრამა, რომელიც ითარგმნა ქართულ ენაზე და ხელმისაწვდომი გახდა აუდიტორი კომპანიებისათვის; ბ. უცხოელ ექსპერტებთან (ესტონეთი) შესაბამისი კონტრაქტის საფუძველზე, ჩატარდა 40-საათიანი პრაქტიკული სემინარი ხარისხის კონტროლის სისტემის მეთოდოლოგაზე; გ. გაიმართა შეხვედრები (მრგვალი მაგიდა) თემაზე: „მომსახურების ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგისათვის მოსამზადებელი სამუშაოები“.

### საგადასახადო დაბეგვრის კომიტეტი

საგადასახადო კომიტეტის დებულებით, მისი ფუნქციაა: ბაფის წევრების საკონსულტაციო მომსახურება საგადასახადო დაბეგვრის, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საკითხებზე; ბაფში წერილობით შემოსულ კითხვებზე კონსულტანტის მიერ მომზადებული პასუხების პროექტის განხილვა და საბოლოო პასუხის მომზადება მისი ჟურნალში გამოქვეყნებამდე (ან კითხვის ავტორთან გაგზავნამდე); საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებით გამართულ დისკუსიებში მონაწილეობა სამთავრობო და საკანონმდებლო სტრუქტურებთან, ბაფის სახელით. კომიტეტი, როგორც გასულ წლებში, საანგარიშო პერიოდშიც წარმატებით ასრულებდა თავის ფუნქციებს.

### ეთიკისა და დისციპლინარული კომიტეტი

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონისა (08. 06.2016) და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ შემუშავებული შესაბამისი რეგულაციების საფუძველზე, საანგარიშგებო წელს განახლდა „ბაფის წევრების მიერ პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (IESBA Code) და ხარისხის კონტროლის სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გამოვლენისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესი“. მიღებული წესით განისაზღვრა:

- ა) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და ხარისხის კონტროლის სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გამოვლენის მიდგომები;
- ბ) გამოვლენილ დარღვევებზე დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომა და მათი დაკისრების წესი.

### 4. აღმასრულებელი სტრუქტურის საქმიანობის მიმოხილვა

აღმასრულებელი სტრუქტურის საქმიანობა რეგულირებულია შიდა ნორმატიული დოკუმენტებით, კერძოდ, გაწერილი და დამტკიცებულია ”შენჯერული პროცედურები“; თანამშრომელთა საქმიანობა რეგულირდება აღმასრულებელი დირექტორის მიერ დამტკიცებული ბრძანებით “ბაფის თანამშრომელთა ფუნქციების შესახებ”. დოკუმენტში გაწერილია თითოეული თანამშრომლის უფლება-მოვალეობები, უზრუნველყოფილია

ორგანიზაციის ადმინისტრაციის წევრების ვალდებულებების მკაფიოდ ჩამოყალიბება და გამიჯვნა, რაც საშუალებას იძლევა დაცული იყოს თითოეულ უბანზე პასუხისმგებლობის შესაფერი დონე. თანამშრომელთა ვალდებულებების შესრულება კონტროლდება ოფისის მენეჯერისა და აღმასრულებელი დირექტორის მიერ.

საანგარიშო პერიოდში განახლებულია ბაფის ვებგვერდის სტრუქტურა და დიზაინი. ახალი ვებგვერდის შექმნით გადაწყვეტილია გასული წლების პრობლემა ინგლისურენოვანი საიტის შექმნასთან დაკავშირებით. თარგმნის პროგრამის რეჟიმი ავტომატურად უზრუნველყოფს საიტზე განთავსებული ინფორმაციის თარგმნას რუსულ და ინგლისურ ენებზე.

## 5. ეკონომიკური და ფინანსური საქმიანობა

საანგარიშგებო პერიოდის ეკონომიკური და ფინანსური საქმიანობა, მუხლობრივად და თანხობრივ პარამეტრებში, მოცემულია გამგეობის მიერ დამტკიცებული 2016 წლის ბიუჯეტში, რომელიც გამოქვეყნებულია და მისი გაცნობა შესაძლებელია ვებგვერდზე: **baf.ge** – „საქმიანობის ანგარიშები“.

2016 წლის ფინანსური ანგარიშგება, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად, გამოქვეყნდება 2017 წლის 1 მაისამდე ვებგვერდზე: **baf.ge** – „საქმიანობის ანგარიშები“, სადაც შესაძლებელია აგრეთვე ბოლო ხუთი წლის ფინანსური ანგარიშგებების გაცნობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილ საქმიანობის ანგარიშში, ეკონომიკურ და ფინანსურ საქმიანობას დეტალურად არ მიმოვიხილავთ. მოკლედ აღვნიშნავთ, რომ გასული წლების ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მიხედვით, ბაფს დამაკმაყოფილებელი ფინანსური მდგომარეობა აქვს. ბაფის ფინანსური მდგრადობის გარანტია წმინდა აქტივების ღირებულება და ლიკვიდობის მაღალი დონეა.

## 6. საერთაშორისო კონფერენციები

ბაფის მიღწევები და საერთაშორისო აღიარება მნიშვნელოვნადაა განპირობებული სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში მიღებული გამოცდილების გაზიარებითა და პრაქტიკაში დანერგვით. ბაფის წარმომადგენლები ყოველწლიურად მონაწილეობენ პროფესიის განვითარების თემებზე ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციებში. გარდა ამისა, ბაფის ინიციატივითა და ორგანიზებით საქართველოში სხვადასხვა პერიოდში ჩატარდა 12 საერთაშორისო კონფერენცია.

**2016 წლის 20-21 მაისს** - საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციამ უმასპინძლა **საერთაშორისო კონფერენციას** თემაზე: „პროფესიული განვითარების 20 წელი - ევროინტეგრაცია და პროფესიის გამოწვევები“. კონფერენციის უმთავრესი მიზანი იყო სახელმწიფო სტრუქტურებისა (პარლამენტი, მთავრობა) და ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროს წარმომადგენლებს საშუალება ჰქონოდათ, უკეთ გაცნობოდნენ საერთაშორისო პრაქტიკას, რაც საქართველოს დაეხმარება პროფესიის მარეგულირებელი სრულყოფილი და ევროდირექტივებთან შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ფორმირებაში. კონფერენციის მონაწილეებს შესაძლებლობა მიეცათ, აქტიურად ემსჯელათ საქართველოს მთავრობის მიერ პარლამენტში ინიცირებული „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური



ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ კანონ-პროექტის ძირითად დებულებებზე და გაემართათ დისკუსია.

კონფერენციაში მონაწილეობენ: **ენტონ ჰარბინსონი**- ბრიტანეთის სერტიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაცია (ACCA); **ტაკაცუგუ ოჩი**- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ფონდი; **ნატალი მანულოვა** - მსოფლიო ბანკი, ფინანსური მართვის უფროსი სპეციალისტი; **ჰორია ნემტუ** - რუმინეთის ფინანსურ აუდიტორთა პალატა; **დიმიტრი იაკოვენკო** - პროფესიონალი ბუღალტრების, ფინანსური მენეჯერებისა და ეკონომისტების სამარის ეროვნული ინსტიტუტი; **ვაჰიდ ნაფრუზოვი** - აზერბაიჯანის აუდიტორთა პალატა; **მარტ-მარტინ არენგუ** - ესტონეთის აუდიტორთა ასოციაცია; **დავიდ გოლდბერგი** - ისრაელის სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ინსტიტუტი; **საფარ კომპიშაევი** - ყაზახეთის აუდიტორთა პალატა; **რადოსლავ იგნატოვსკი** - პოლონეთის ბუღალტერთა ასოციაცია; **ნატალია ლოგკა** - უკრაინის პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია. საქართველოს მთავრობის, არასამთავრობო სექტორის, წევრი კომპანიებისა და აკადემიური სფეროს წარმომადგენლები.

**თემები და მომხსენებლები:**

**თემა:** ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნები და პროფესიის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა საქართველოში, მოხსენებით გამოვიდნენ:

**ნოდარ ებანოძე** - პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; **იური დილიძე** - *ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსის მრჩეველი*; **ჯონ ჰუპერი** - მსოფლიო ბანკის ფინანსური მართვის კონსულტანტი.

**თემა:** პროფესიული განათლებისა და სერტიფიცირების გლობალური ტენდენციები-**ანტონ ჰარბინსონი**, ბრიტანეთის სერტიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაცია (ACCA) პრეზიდენტი;

**თემა:** საერთაშორისო სტანდარტების სახელმწიფო (ეროვნულ) ენაზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობისა და ხარისხის უზრუნველყოფაში-**ტაკაცუგუ ოჩი**, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ფონდის საბჭოს წევრი;

**თემა:** თანამედროვე გამოწვევები მცირე და საშუალო ზომის აუდიტის ბაზარსა და ასოციაციებში -**მარტ-მარტინ არენგუ**, ესტონეთის აუდიტორთა ასოციაციის პრეზიდენტი.

**თემა:** პროფესიული ორგანიზაციების როლი პროფესიის განვითარებისა და რეგულირების სფეროში -**ჯონ ჰოჯი** - მსოფლიო ბანკი, ფინანსური მართვის უფროსი სპეციალისტი; **გიორგი რუსიაშვილი**, ბუღალტერთა, აუდიტორთა და კონსულტანტთა საზოგადოება,

პრეზიდენტი; ლავრენტი ჭუმბურიძე, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია, გამგეობის წევრი.

კონფერენციის ბოლო ნაწილი დაეთმო თემის ირგვლივ დისკუსიასა და მის შეჯამებას.

## 20 წლის იუბილესთან დაკავშირებული საზეიმო მიღება

საზეიმო ღონისძიებაზე მოწვეული იყო 500-ზე მეტი სტუმარი, მათ შორის - საქართველოს მთავრობის, პარლამენტის, ქ. თბილისის მერიისა და საკრებულოს, აკადემიური და ბიზნეს სექტორის, ბაფის პარტნიორი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ბაფის წევრები.

ბაფს 20 წლის იუბილე მიულოცა ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა (IFAC) ოლივია ფ. ქირთლიმ.

საზეიმო საღამომი მონაწილეობდნენ, სტუმრებს მიესალმნენ და ბაფის საქმიანობის შესახებ ისაუბრეს:

**გიორგი ქუმსიშვილმა** - საქართველოს ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი; **ნოდარ ხადურმა** - საქართველოს ფინანსთა მინისტრი; **დავით ნარმანიამ** - ქ. თბილისის მერი.

საზეიმო ღონისძიებაზე მრავალწლიანი თანამშრომლობისა და პარტნიორობისათვის ბაფმა სამადლობელი სიგელებით დააჯილდოვა:

**ოლივია ფ. ქირთლი** ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი; **ენტონ ჰარბინსონი** - ბრიტანეთის სერტიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) წინა პერიოდის პრეზიდენტი; **ტაკაცუგუ ოჩი** - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ფონდის წევრი; **ნატალია მანულოვა** - მსოფლიო ბანკი, ფინანსური მართვის უფროსი სპეციალისტი.

20 წლის იუბილესთან დაკავშირებით ბაფმა მრავალი წერილობითი მილოცვა და საჩუქარი მიიღო პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, პროფესიის წარმომადგენლებისაგან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, საქართველოს ბიზნეს და აკადემიური სექტორიდან. წერილობითი მილოცვის ტექსტები გამოიცა საიუბილეო ბროშურის სახით.

## საანგარიშო პერიოდში ბაფმა აგრეთვე მონაწილეობა მიიღო:

1. აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში ჩატარებულ (5-6 აპრილი) საერთაშორისო კონფერენციაში თემაზე: „აუდიტის რეგულირების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე“ (ლავრენტი ჭუმბურიძე, კონსტანტინე დათიაშვილი);
2. ბელორუსიის დედაქალაქ მინსკში, მსოფლიო ბანკის ფინანსური ანგარიშგების რეფორმის ცენტრის (CFRR) ხელმძღვანელობით ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაში, რომლის თემა იყო: „ბუღალტრული აღრიცხვის სწავლების ეროვნული ინიციატივები“ (რევაზ ძამაძია);

3. ლიტვის აუდიტორთა პალატის 20 წლის იუბილესადმი მიძღვნილ კონფერენციაში თემაზე: „ მიღწევები, მიმდინარე საკითხები და მომავლის პერსპექტივები“ (ზურაბ ლალაზაშვილი).

ლ. ჭუმბურიძე,

ბაფის აღმასრულებელი დირექტორი